



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 110/18¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

სალომე კაკიაშვილი (სტუდენტი)

ფაქტები

მომჩივანი სამოქალაქო საქმეზე იყო მოსარჩელე, ხოლო ადვოკატი მოპასუხის წარმომადგენელი. სამართლებრივი დავის ფარგლებში მათ გარკვეული კომინუკაცია ჰქონდათ როგორც სატელეფონო, ასევე პირადი საუბრების სახით. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი სატელეფონო და პირად საუბრებში ხშირად აყენებდა შეურაცხყოფას მას, სოციალური ქსელში განხორციელებული მიმოწერის დროს კი ადვოკატმა საჩივრის ავტორს მიმართა შემდეგი სიტყვებით: „სირო, პიდარასტო“.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ იმსჯელა და შეაფასა ადვოკატის ქმედება პროცესის სხვა მონაწილესთან, კერძოდ, მოსარჩელე მხარესთან მიმართებით და განმარტა, რომ ეთიკის კოდექსით დადგენილი ნორმები ადვოკატს ავალდებულებს ნებისმიერ ვითარებაში შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას არ მოიქცეს იმგვარად, რაც შეუფერებელია ადვოკატის პროფესიის სტატუსისათვის. ადვოკატს, როგორც მართლმსაჯულებაში მონაწილე პირს, ქცევის მაღალი სტანდარტი მოეთხოვება, განსხვავებით სხვა პირებისაგან. ადვოკატის მიერ წარმოთქმული შეურაცხყოფელი ფრაზები და გამონათქვამები იწვევს ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის დაკარგვას. ამასთანავე, ადვოკატს პროფესიული ვალდებულებები ავალდებულებს პროცესის მონაწილე პირთა პატივისცემას, მათ შორის მოწინააღმდეგე მხარის მიმართ პატივისცემას. მოცემულ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ საჩივრის ავტორი ადვოკატის მხრიდან ხშირი შეურაცხყოფების ფაქტებზე წარმოდგენილ საჩივარში და საპროცესო კოლეგიის სხდომაზე მიცემული განმარტების დროს საუბრობდა. მომჩივანმა ადვოკატის მხრიდან მისი მისამართით წარმოთქმული სიტყვების - „სირო“ და „პიდარასტო“ დასადასტურებლად მტკიცებულების სახით სოციალურ ქსელში განხორციელებული პირადი მიმოწერა წარმოადგინა. საჩივრის ავტორს სხვა შემთხვევებში განხორციელებული შეურაცხყოფის ფაქტებზე მტკიცებულებები არ წარმოუდგენია. ადვოკატი უარყოფს მიმოწერის ფაქტს, ასევე მისმა წარმომადგენელმაც მიუთითა მიმოწერის არაავთენტურობაზე. საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილი პირად მიმოწერის ნამდვილობის თაობაზე მხარეთა განსხვავებული პოზიცია არსებობს. შესაბამისად, საჩივრის ავტორს მის მიერ მითითებული პრეტენზიის დასადასტურებლად ეკისრება ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი, რაც გულისხმობს იმას, რომ საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით კომისიას უნდა შეექმნას დასაბუთებულ ვარაუდი, რომ სადავო ქმედება ჩაიდინა ადვოკატმა. საპროცესო კოლეგია ყურადღებას ამახვილებს, მიმოწერის ფორმალურ მხარეზე, სადაც არ ჩანს მიმოწერის მხარეები. ასევე მნიშვნელოვანია, წარმოდგენილი მიმოწერა, როგორც სახით იქნა სოციალურ ქსელში მოპოვებული, ვინაიდან საქმეში არსებული მიმოწერა ეჭვს იწვევს მის ნამდვილობასა და სარწმუნოებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, მიმოწერის სადავო ხასიათიდან გამომდინარე, აუცილებელია ის გამყარებული იქნას სხვა მასალებით, რომლითაც დადასტურდება საჩივრის ავტორის პრეტენზიები. მოცემულ შემთხვევაში,

¹<https://gba.ge/pdf/5ce26d3466258.pdf/110-18%2029.10.18%20ar%20agdzvra.pdf>

საჩივრის ავტორს არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რომლითაც დაადასტურებდა სოციალურ ქსელში განხორციელებული მიმოწერის ავთენტურობას.

დასკვნა

ეთიკის კომისიამ ადვოკატის მიმართ არ აღძრა დისციპლინური დევნა აპეკ-ის მე-9 მუხლის მეოთხე ნაწილის საფუძველზე.